საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის
ოქმი N2

ქ. თბილისი **3 -- დეკემბერი 2013 წ.**

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ ქ. ონში, ბაზოვის ქ N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N88.18.27.021) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N1028, 18.11.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:
- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:
-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-კობა სელიმაშვილი — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:
- გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:
1. ქ. ონში, ბაზოვის ქ N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N88.18.27.021) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N1028, 18.11.2013)** მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2013 წლის 22 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში **(N1028, 18.11.2013)** მონაწილე კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2013 წლის 19 ნოემბერს, 14:00 საათზე;
ელექტრონულ კონკურსში **(N1028, 18.11.2013)** მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა:

1. **ი/მ "ალექსანდრე გერგედავა"**

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია.
საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარემ გ. ფაცაციამ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები და სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. ი/მ **"ალექსანდრე გერგედავა"** –2 400 (ორი ათას ლარი) ლარი.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს ი/მ **"ალექსანდრე გერგედავა"** -ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და აღნიშნეს, რომ საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:

1. ი/მ **"ალექსანდრე გერგედავა"** -ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N1028, 18.11.2013)** გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ **"ალექსანდრე გერგედავა"** -ს საკონკურსო წინადადება.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:

2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

2.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

3 დეკემბერი 2013 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 18 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N1028, 18.11.2013) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:
ქ. ონში, ბაზოვის ქ N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N88.18.27.021) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1028, 18.11.2013) საშუალებით;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:	გოგი ფაცაცია
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:	მერაბ მენაბდე
	კობა სელიმაშვილი
	კახაბერ პეტრიაშვილი
	კახაბერ ჩხარტიშვილი
	ზაზა იმედაშვილი
	მურად აბლოთია
	გია ნაჭყებია
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:	ამირან გოგიძე
	დავით ლოლაძე
	მაიკო მიქაია